ი.მ „გოგია ღვალაძე”

50 კუბ.მ. მოცულობის ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია

(ქ.ქარელი, სოფ. ქვენატკოცა)

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი შ.პ.ს. **„BS Group”**

159 M. Brothers Romelashvilebi st, Gori, Georgia
tel: +(0 370) 273365,599708055, e-mail: makich62@mail.ru

ი.მ. ,,გოგია ღვალაძე“-ის ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია დაგეგმილია ქარელის მუნიციპალიტეტის, სოფ. ქვენარკოცაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. (ს/კ 68.06.42.242, GPS კოორდინატები X – 401050, Y-4656950). უახლოესი დასახლებული პუნქტი - სოფ. ქვენატკოცა საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 800 მეტრით. ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 5000კვ.მ.-ს. აღნიშნული საქმიანობისათვის გამოყოფილი ფართი მდებარეობს ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, აგარა-ყორნისი-ცხინვალის საავტომობილო გზის მიმდებარედ, სადაც დაგეგმილია ავტოგასამართი სადგურის მოწყობა. საწარმოს ტერიტორიის ზედაპირი დაბეტონებულია, მოწყობილია ასეთ ტიპის საწარმოებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, კერძოდ, მუშათა გასახდელი, სანიტარიული კვანძი, სახანძრო ინფრასტრუქტურა - წყლის რეზერვუარი შესაბამისი აღჭურვილობით და სხვ. ნავთობპროდუქტის საცავები შედგება ლითონის ორი რეზერვუარისაგან, თითოეული დაახლოებით 25 კუბ.მ. მოცულობით, ბენზინისა და დიზელის საწვავის შესანახად. რეზერვუარები განთავსებულია მიწისქვეშ ბეტონის სარკოფაგში, ბეტონის უნაგირის საყრდენზე, ხოლო გვერდებიდან ამოვსებულია ქვიშის ფენით. საწავავის მიიღება ხდება ავტოცისტერნებით. ავტოგასამართ სადგურს აქვს ერთი სვეტი, მასზე ორი ,,პისტოლეტით“ - ბენზინისა და დიზელის საწვავისათვის. საწარმოს მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 150000 ლიტრს თითოეული სახის საწვავისათვის. სამუშაო რეჟიმი შეადგენს 365 სამუშაო დღეს წლიურად, 10 საათიანი რეჟიმით. დასაქმებული იქნება 3 ადამიანი. საწარმოში სანიაღვრე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება. წყალაღება განხორციელდება ჭაბურღილიდან, რომლის მოწყობაც იგეგმება, ხოლო სამეურნეო-საყოფაცხოფრებო ჩამდინარე წყლის ჩაშვება ოხდება ამოსაწმენდ ორმოში.

საქმიანობის განხორციელებელი და სკრინინგის ანგარიშის შემმუშავებელი ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია	ი.მ. ,,გოგია ღვალაძე“
იურიდიული მისამართი	ქ. ქარელი, სოფ. ღოღეთი
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ. ქარელი, სოფ. ქვენატკოცა
საქმიანობის სახე	საწვავის რეალიზაცია
საკონტაქტო მონაცემები	
საიდენტიფიკაციო კოდი	43001000879
ელექტრონული ფოსტა	-
საკონტაქტო პირი	ზაზა ღვალაძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 28 78 27
საკონსულტაციო ფირმა	შ.პ.ს. ,,BS Group”
დირექტორი	ნინო კობახიძე
მისამართი	ქ. გორი, ძმები რომელაშვილების ქ.N159
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 70 80 55
ელექტრონული ფოსტა	Makich62@mail.ru

საწყობები. სურათი 1 და სურათი 2-ზე, ასევე ნახაზი 1 -ზე წარმოდგენილია შესაბამისად საწარმოს სიტუაციური გეგმა მანძილის მითითებით, საწარმოს გენ.გეგმა და საწარმოს საკადასტრო ნახაზი

სურათი 1

სურათი 2


68.06.42.242
W
N
S
E
8
-2.05
-1.90
10
-0.25
±0.00
6
7
9
37.00 m²
31.48 m²
68.06.42.242
-0.35
-0.10
-0.35
ავარა-ყორნისი-ცხინვალის საავტომობილო გზა
ექსპლიკაცია
№ | დასახელება | მ²
1 | საცვლელი ოთახი | 37.0
2 | სადგურის სათავრიაფორო | 11.0
3 | საცვლელი ოთახი | 31.5
4 | WC-ფიზიკურებული | 4.80
5 | მარიგებული სვლელ | 0.80
6 | გამწვანებული ტერიტორია | 325.0
7 | საანალიზიანი ოთახი | 4.0
8 | არსებული შენობები | 961.0
9 | მიწისქვეშა რეზერვუარები | 46.2
10 | ავტოცისტერნის მოედანი | 117.0
ს. „ერეკი-ბროუჯეტ გრუპი"
ავტოგასამართი კომპლექსი (დიზელი და ბენზინი)
დირექტორი: გიორგი გაბაძე
არქიტექტორი: დათო მაისაშვილი
ობიექტის დასახელება:
გენგეგმა
ნანიკ
არქიტექ
ფურც: №3.
რელიეფ მუნიციპალიტეტი სოფელი ქვანახეოლა - № 68.06.42.242
დამკვეთი: გიორგი ლეკალიძე
მასშტაბი: 1:250
ქ. ბოლ

ნახაზი 1


საკადასტრო გეგმა
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საკადასტრო კოდი: 68.06.42.242
განცხადების ნომერი: 892018399609
მომზადების თარიღი: 16/05/2018
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
ფართობი: 5000 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)
401050
401090
4656970
4656930
4656890
N
03/1
02/1
01/1
04/1
10
20
კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N
მასშტაბი 1:700
05/25
მშენებარე ნაგებობა
05/25
შენობა/ნაგებობა
ტყის ფონდი
ნაკვეთის საკადასტრო სახღვარი
სახობრივი ნაგებობა
ვალდებულება
http://nsgr.gov.ge

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებას წარმოადგენს ნახშირწყალბადები.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი.

დაგეგმილ ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მით უმეტეს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები, ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

აღნიშნულ ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს, ზედაპირი წარმოადგენს ტექნოგენურ გრუნტს.

საწარმოში ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. საქმიანობა დადებით მცირე გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი მიწის სამუშაოები არ შესრულდება, ამიტომ არქელოგიური ძეგლების დაზიანებას ადგილი არ ექნება, ასევე საწარმოს ექსპლუატაციისას ადგილი არ ექნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანებას, რადგან საწარმოს ზემოქმედების ზონაში ასეთის არსებობა არ ფიქსირდება.

საწარმოს მოწყობისას წარმოიქმნება მცირე რაოდენობით ინერტული მასალის ნარჩენები, რომლითაც მოხდება მიმდებარე ტერიტორიების ბუნებრივი ჩაღრმავებების ამოვსება.ხოლო ოპერირებისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს საყოფაცხოვრებო ნარჩენების (საკვების ნარჩენები, ქაღალდის და მუყაოს ნაჭრები, პოლიეთილენის პარკები, დამსხვრეული მინის და პლასტმასის ნარჩენები, ნამუშევარი და წუნდებული ვარვარის ნათურები და სხვ) – 2 $მ^3$/წელ, ლუმინისცენტური ნათურების ნარჩენები, გაზეთილი საწმენდი მასალა (ძონძი). ასეთი სახის ნარჩენების გადაცემა მოხდება ამ საქმიანობიათვის შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

დაგეგმილი საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ინერტული მასალის მტვრის რაოდენობა არ გადააჭარბებს საწარმოდან 500მეტრიანი რადიუსის საზღვარზე ზდკ-ის დაშვებულ ნორმას. საწარმოს ზემოქმედების ზონაში ანალოგიური საწარმოების არ არსებობის გამო, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.